

შემუშავებულია: 11.08.2019 წ. 196/2019/02

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დამტკიცებულია: 12.08.2019 წ. 196/2019/01

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“) სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი

**მუხლი 1. გამოყენების სფერო.**

1. „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“ (შემდეგში „წესი“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონისა და საქართველოს „შრომის კოდექსის“ შესაბამისად და ადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვალიფიციური კადრების სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს.

2. წესი ვრცელდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ მასწავლებელზე.

**მუხლი 2. მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის საშტატო ერთეულზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების წესით უმაღლესი განათლების/აკადემიური ხარისხის მქონე პირი, პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით, რომლის მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შექმნილ/განახლებულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან. მხედველობაში მიიღება პირის სამუშაო გამოცდილება.

3. მოწვევა ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

### მუხლი 3. მასწავლებლის შრომის პირობები და შრომის ანაზღაურება

1. მასწავლებლის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
2. საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებელი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მისი ყოველკვირეული დატვირთვა განისაზღვრება არანაკლებ 3 სააუდიტორიო საათით, ასანაზღაურებელი-საათის ღირებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით ინდივიდუალურად მხარეთა შორის მოლაპარაკებების საფუძველზე და შეადგენს არანაკლებ 8 და არაუმეტეს 50 ლარს.

### მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

